

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ნანა გუგუნაშვილი

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხები  
შპს დემასის მაგალითზე

სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირებისმაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ.მარინა მაისურაძე

თბილისი

2020

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში ასახულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხები. განხილულია საწარმოს ფინანსური ანგარიშგების არსი და მიზანი. ხაზგასმულია მისი მნიშვნელობა ინფორმაციულობის კუთხით.

ფინანსური ანგარიშგება საწარმოს საქმიანობის შედეგებს სხვადასხვა მაჩვენებლების მეშვეობით დეტალურად ასახავს და მრავლისმომცველ ინფორმაციას აწვდის კრედიტორებს, ინვესტორებს და ანგარიშგების სხვა მოხმარებლებს. მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში კი საკმაოდ მნიშვნელოვანია ამა თუ იმ საწარმოს შესახებასეთი მონაცემების ხელმისაწვდომობა.

სამაგისტრო ნაშრომში თეორიულადაა განმარტებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების კონცეპტუალური საფუძვლები. დეტალურადაა აღწერილი მისი შემადგენელი კომპონენტები და ელემენტები, მათი მნიშვნელობა და სტრუქტურა. ბალანსი წარმოდგენას გვიქმნის საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ. მოგება-ზარალი კომპანიის საქმიანობის შედეგის: საანგარიშგებო პერიოდის მოგების ან ზარალისუკეთ გაანალიზებაში გვეხმარება. ის მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობის შესახებ საჭირო ინფორმაციას. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება დროის პერიოდში კაპიტალის სტრუქტურასა და მის ცვლილებას ასახავს. ხოლო, ფულადი ნაკადების ანგარიშგება საწარმოს მფლობელობაში არსებულ ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებს ახასიათებს. თითოეული ეს კომპონენტი დანარჩენებისგან განსხვავებულ ინფორმაციას მოიცავს, მაგრამ დამოუკიდებლად ვერც ერთი მათგანი ვერ იძლევა მომხმარებელთა საინფორმაციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას. ისინი ერთი და იმავე ოპერაციის სხვადასხვა ასპექტს ახასიათებენ და მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან. სწორედ ამიტომ, უნდა მოხდეს მათი გაანალიზება კომპლექსურად და არა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

ნაშრომის მეორე ნაწილში მოცემულია შპს დემასის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება. განხილულია მისი შემადგენელი ყველა კომპონენტი და დახასიათებულია

მათი სტრუქტურა თუ შინაარსი. პრაქტიკულ მაგალითზეა გამოყენებული პირველ ნაწილში მოცემული თეორიული მასალა. მონაცემების ვიზუალიზაციისთვის გამოყენებულია გრაფიკები და დიაგრამები, რათა უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას შპს დემასის ფინანსური მაჩვენებლების შესახებ.

## **Annotation**

In the stated thesis, here are considered the issues of preparation and presentation of financial statements. The essence and purpose of the enterprise's financial statements are discussed. Its importance in terms of informativeness is emphasized.

Financial statements provide detailed information about the results of company's economic activities to creditors, investors and other users of the statements. During globalization processes it's very important, that data like this should be easy to access.

Here is explained conceptual foundations of preparation of financial statements, it's components, importance and structure. The balance sheet provides an overview of a company's assets, liabilities and equity. Profit and Loss Statement primarily focuses on a company's revenues and expenses during a particular period. The Equity Changes Statement shows structure and changes of the capital in the current period. The Cash Flow Statement describes cash and it's equivalents, that company owns. Each of those component includes different information and none of them provides complete picture of the company's performance. They characterize different aspects of the same operation and are closely related. That is why they should be analyzed in a complex way and not independently from each other.

The second part of the paper presents the financial statements of Demas Ltd for 2018. All it's components are discussed and their structure or content is described. The theoretical material given in the first part is used as a practical example. Graphs and diagrams are used to visualize the data to give a clearer picture of the financial performance of Demas Ltd.

# შინაარსი

შესავალი.....	5
თავი 1. ფინანსური ანგარიშგების არსი და მნიშვნელობა	
1.1 ფინანსური ანგარიშგების არსი და მიზანი.....	6
1.2 ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები და ხარისხობრივი მახასიათებლები.....	10
1.3 ფინანსური ანგარიშგების ელემენტები.....	16
1.4 ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი კომპონენტები.....	21
თავი 2. შპს დემასის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხები.....	35
2.1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	36
2.2. მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	44
2.3. კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	48
2.4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	51
დასკვნა.....	54
გამოყენებული ლიტერატურა.....	57

## შესავალი

**თემის აქტუალობა** მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოების მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. მსოფლიო გლობალიზაციის პროცესიდან გამომდინარე დიდი ყურადღება ექცევა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიანი მსოფლიო სტანდარტების გამოყენებას საქმიანობაში. სხვადასხვა საწარმოთა ფინანსური მახასიათებლების ხელმისაწვდომობა კი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტი ახასიათებს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებს, საკუთარ კაპიტალს, ფულად ნაკადებს, შემოსავლებს, ხარჯებს და სხვა დამატებით მაჩვენებლებს. სწორედ ეს ინფორმაცია იძლევა საშუალებას ვიმსჯელოთ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და მის საქმიანობის შედეგებზე. პირელ მათგანს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საწარმოს რესურსები, მისი სტრუქტურა, ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა. ამ ინფორმაციით დაინტერესებულია ანგარიშგების როგორც ძირითადი, ასევე სხვა მომხმარებლებიც. ინვესტორები, კრედიტორები, ხელმძღვანელობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკმაოდ აქტიურად იყენებს ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს და მათ საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს. ეს ინფორმაცია შესაძლოა მრავალი რეკომენდაციის საფუძველად იქცეს ან საწარმოში გარკვეული ცვლილებების გატარების აუცილებლობა ასახოს.

**კვლევის მიზანს** წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული განხილვა, რათა ხაზი გავუსვათ საწარმოს მიერ მისი საქმიანობის შედეგების სწორ აღრიცხვისა და შემდგომიანალიზის მნიშვნელობას.

**კვლევის ობიექტია** შპს დემასი, რომლის ძირითად საქმიანობას სარემონტო და მოსაპირკეთებელი მასალით საცალო და საბითუმო ვაჭრობა წარმოადგენს. მოყვანილია მისი ფინანსური ანგარიშგება სრულად და დეტალურადაა გაანალიზებული თითოეული შემადგენელი კომპონენტი.

# თავი 1. ფინანსური ანგარიშგების არსი და მნიშვნელობა

## 1.1 ფინანსური ანგარიშგების არსი და მიზანი

ფინანსური ანგარიშგება - „საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი.“ [2, პ.9] ფინანსური ანგარიშგების მიზანია მომხმარებელთა ფართო წრეებს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია, რომელიც მათ დაეხმარება ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- საწარმოს აქტივები;
- საწარმოს ვალდებულებები;
- საკუთარი კაპიტალი;
- შემოსავლები და ხარჯები, მათ შორის, შემოსულობები და დანაკარგები;
- მესაკუთრეთა შენატანები საკუთარ კაპიტალში და მესაკუთრეებზე, როგორც აქციების მფლობელებზე, განხორციელებული განაწილებები;
- საწარმოს ფულადი ნაკადები.

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით, ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ შეაფასონ საწარმოს მიერ ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობა, კერძოდ მათი საიმედოობა და დროულობა. საწარმოს ეს უნარი განსაზღვრავს მის შესაძლებლობას დაფაროს ვალდებულებები (გაცეს ხელფასი, დაფაროს პროცენტები და აღებული სესხები) და გაანაწილოს მოგება მესაკუთრეებს შორის.

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანი პოტენციური ინვესტორების, გამსესხებლებისა და კრედიტორებისათვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებაა, რომელიც დაეხმარება მათ მოცემული საწარმოს რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. ასეთი გადაწყვეტილებები შესაძლოა ეხებოდეს: ინვესტირებული კაპიტალის ყიდვას, გაყიდვას ან დატოვებას; საწარმოს ხელმძღვანელობის საქმიანობისა და პასუხისმგებლობის შეფასებას; საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრას; საწარმოს მიერ საკუთარი მომუშავეების

ხელფასებითა და სხვა სახის დახმარებებით უზრუნველყოფის შესაძლებლობის შეფასებას და ა.შ.

თუმცა, ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს სრულ ინფორმაციას, რომლითაც დაინტერესებულნი არიან მისი მომხმარებლები. მაგალითად, ეკონომიკური პირობები, პოლიტიკური მოვლენები, დარგის პერსპექტივა და ა.შ.

საწარმოს საქმიანობის შედეგების ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვანია და სასარგებლო, რათა მოხდეს იმის პროგნოზირება საწარმოს არსებული რესურსების პირობებში თუ რა ოდენობის ფულადი საშუალებების გამომუშავების შესაძლებლობა აქვს. სწორედ ეს ფინანსური ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ საწარმოს საინვესტიციო, საფინანსო და სამეურნეო საქმიანობა.

**ანგარიშვალდებული საწარმო** ვალდებულია წარადგინოს ფინანსური ანგარიშგება. საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის წარდგენა უნდა მოხდეს სულ მცირე წელიწადში ერთხელ. თუ საწარმო ანგარიშგებას წელიწადზე ნაკლებ ან მეტ დროში წარადგენს, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა მიეთითოს პერიოდი, რომელსაც ანგარიშგება მოიცავს. ასევე:

- მიზეზი - რატომ მოხდა ერთი წელიწადისგან განსხვავებული პერიოდის გამოყენება;
- ფაქტი, რომ ასახული ინფორმაცია არაა მთლიანად შესაძარისი;

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- ✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის;
- ✓ პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას;
- ✓ პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;
- ✓ პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას;
- ✓ განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლი-ტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია;



„საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული უნდა იყოს გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ყველა რიცხობრივი მონაცემის შესაბამისად. საწარმომ უნდა წარადგინოს, როგორც მინიმუმი, ორი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ორი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, ორი განცალკევებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (თუ ასეთი წარდგენილი აქვს), ორი ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ორი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები.“ [2, პ.38]

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულ უნდა იქნას დარიცხვის მეთოდი, გარდა ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაციისა. ამ მეთოდის თანახმად აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა თუ ხარჯების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე და არა ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების მიღების დროს. სამეურნეო ოპერაციების შედეგების გატარება ხდება შესაბამის ბუღალტრულ დოკუმენტებში. ეს ინფორმაცია კი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით მომხმარებლებს აწვდის ინფორმაციას წარსული სამეურნეო ოპერაციების შესახებ, რომლებიც ფულადი სახსრების გადახდასა და მიღებას მოიცავს და ასევე, მასში მოცემულია მომავალი პერიოდის გასანაღდებელი ვალდებულებები და მომავალი პერიოდის მოთხოვნები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითადი დაშვება - **ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპია**. ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს ამ პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს რომ საწარმო ფუნქციონირებს და საქმიანობის გაგრძელებას აპირებს მომავალშიც. ასევე, აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს რომ საწარმო არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას, ან საკუთარი საქმიანობის მასშტაბების შემცირებას საპროგნოზო მომავალში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს ხელმძღვანელობამ უნდა განსაზღვროს აქვს თუ არა საწარმოს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ამ დაშვების მართებულობის შემოწმებისას,

ხელმძღვანელობა ანალიზებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ. ეს შესაძლოა მოიცავდეს საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან სულ მცირე თორმეტი თვის მონაცემებს მაინც. თუმცა, განსახილველი პერიოდი არაა შეზღუდული ამ ვადით. ფაქტების განხილვის ხარისხი კი დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე. თუ საწარმოს გააჩნია დიდი ოდენობით რესურსები და წარსულში მისი საქმიანობა მომგებიანი იყო, მისი ფუნქციონირებადობის შესახებ დასკვნა შესაძლოა დეტალური ანალიზის გარეშე იქნას გამოტანილი. ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით უნდა მომზადდეს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელობა საწარმოს ლიკვიდაციას, საქმიანობის შეწყვეტას გეგმავს ან როდესაც მას უბრალოდ სხვა გამოსავალი არ აქვს.

შეფასების დროს შესაძლოა გამოვლინდეს და ხელმძღვანელობისთვის ცნობილი გახდეს განუსაზღვრელობები, რომლებიც ექვევებ აყენებენ საწარმოს უნარს გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ასეთ შემთხვევაში, ეს არსებითი განუსაზღვრელობები უნდა აიხსნას განმარტებით შენიშვნებში.


თუ ფინანსური ანგარიშგება არაა მომზადებული ძირითადი პრინციპის დაცვით, მაშინ განმარტებით შენიშვნაში უნდა იყოს აღნიშნული ეს ფაქტი და მიზეზი, რის გამოც საწარმო არ შეიძლება ფუნქციონირებად საწარმოდ ჩაითვალოს. ასევე, მითითებული უნდა იყოს ის საფუძველი, რის მიხედვითაც ფინანსური ანგარიშგება მომზადდა.

ფინანსურმა ანგარიშგებამ უნდა შეასრულოს სამი ძირითადი ფუნქცია:

- დაგეგმვა - მოქმედების ფორმულირების პროცესი; მიზნის დასახვა; მიზნის მიღწევის გზების ძიება და საუკეთესო ალტერნატივის შერჩევა.
- კონტროლი - შემუშავებული გეგმის შესრულების მეთვალყურეობის პროცესი.
- შეფასება - გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესწავლა, მისი გაუმჯობესების მიზნით.

## 1.2 ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები და ხარისხობრივი მახასიათებლები

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების მიხედვით გამოიყოფა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ორი კატეგორია: ძირითადი მომხმარებლები და დანარჩენი მომხმარებლები.



საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ორიენტირებულია ძირითად მომხმარებლებზე: ინვესტორები, გამსესხებლები და სხვა კრედიტორები. ბევრ მათგანს არ შეუძლია უშუალოდ საწარმოსგან მიიღოს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც ის ფინანსური ანგარიშგებიდან მოიპოვებს. არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს სჭირდებათ საწარმოს რესურსებისა და მასზე მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია, ასევე ხელმძღვანელობის მართვის ეფექტურობის შესახებ მონაცემები. ამ ყველაფრის გამოყენებით ისინი აფასებენ საწარმოში შემოსული ფულადი სახსრების ოდენობასა და დროულობას. ეს ყველაფერი კი იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს

ინვესტიციებისა და უკუგების მიღების პერსპექტივა. სწორედ, ამ ფაქტებზე დაყრდნობით იღებენ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები გადაწყვეტილებებს.


საწარმოს შესახებ ფინანსური ინფორმაციით დაინტერესებულია ხელმძღვანელობაც. ძირითად მომხმარებელზე ორიენტირებული ფინანსური ანგარიშგება საწარმოს ხელმძღვანელობასაც აწვდის მისთვის საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციას, თუმცა სრულად არა. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში დეტალური ინფორმაცია შიდა წყაროებიდან მიიღოს. სწორედ ამიტომ, არაა აუცილებელი რომ ფინანსური ანგარიშგება საწარმოს ხელმძღვანელობაზე იყოს ორიენტირებული.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციით შესაძლოა დაინტერესდნენ საკანონმდებლო მარეგულირებელი ორგანოები და საზოგადოება. თუმცა, ანგარიშგება არც მათზეა ორიენტირებული.

როგორც აღვნიშნეთ, საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ძირითადი მომხმარებლების ინფორმაციულ უზრუნველყოფას ემსახურება და ორიენტირებულია მათზე და არა სხვა პოტენციურ მომხმარებლებზე (მთავრობა, საზოგადოება), რომლებიც შესაძლოა დაინტერესდნენ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციით. საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლების კატეგორიის გამოყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამით თავიდან იქნა აცილებული რისკი იმისა, რომ ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა ფენების გაზრდით ანგარიშგება გადაიტვირთებოდა, ბუნდოვანი და აბსტრაქტული გახდებოდა მომხმარებლისათვის. საუკეთესო გამოსავალი კი ინფორმაციის ისეთი ნაკრების პოვნაა, რომელიც მომხმარებელთა მაქსიმალური რაოდენობის საინფორმაციო მოთხოვნებს უპასუხებს და დააკმაყოფილებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია რომ სასარგებლო იყოს, ის უნდა იყოს შესაბამისი და სამართლიანად ასახავდეს რეალობას. სარგებლიანობა მაღლდება თუ ინფორმაცია ამავე დროს შესადარისია, შემოწმება შესაძლებელია, დროულია და აღქმადი.

ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები ორ ჯგუფად იყოფა : ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამაღლებენ ინფორმაციის სარგებლიანობას.



**შესაბამისობა** - ინფორმაცია შეესაბამება საწარმოში მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებს. შესაბამისი ინფორმაცია გავლენას ახდენს მომხმარებელთა გადაწყვეტილებებზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომხმარებელი გადაწყვეტს რომ ეს ინფორმაცია არ გამოიყენოს. ინფორმაცია შესაბამისია თუ მას გააჩნია საპროგნოზო ანდა დამადასტურებელი თვისება.

ფინანსურ ინფორმაციას აქვს საპროგნოზო თვისება, თუ შეგვიძლია მისი გამოყენება მომავალი შედეგების შესახებ პროგნოზის გასაკეთებლად, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა თვითონ ინფორმაციას პროგნოზის ფორმა. ხოლო თუ შესასძლებელია ინფორმაციის გამოყენება ადრე გაკეთებული შეფასებებების დასადასტურებლად და ის უზრუნველყოფს მტკიცებულებებს, ინფორმაციას აქვს დამადასტურებელი თვისება. ეს ორი თვისება ერთმანეთთან კავშირშია და ხშირად, როდესაც ინფორმაციას აქვს საპროგნოზო თვისება გააჩნია ასევე დამადასტურებელი თვისებაც.

ფინანსური ინფორმაციის მეორე ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებელია **სამართლიანი წარდგენა**. იმისათვის, რომ ინფორმაცია სამართლიანად ასახავდეს საწარმოში მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებს მას სამი ასპექტი უნდა გააჩნდეს:

1. **სრულყოფილება** - გულისხმობს სრული ინფორმაციის მიწოდებას, ყველა აუცილებელი დეტალითა და განმარტებით, რათა მომხმარებელს ნათელი წარმოდგენა შეექმნას მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შესახებ.
2. **ნეიტრალური** - ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს მიკერძოების გარეშე. ინფორმაციის ნეიტრალური ასახვა არაა ორიენტირებული, რომ მომხმარებლის ყურადღება გაამახვილოს რომელიმე კონკრეტულ თვალსაზრისზე ან პირიქით შეასუსტოს მისი ყურადღება.
3. **შეცდომების არ არსებობა** - ეს არ ნიშნავს, რომ ფინანსური ანგარიშგებაში არაფერი იქნება გამოტოვებული ან ყველა მოვლენა უშეცდომოდ იქნება აღწერილი. თუმცა, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას ობიექტურად ასახავ.

სასარგებლო ინფორმაცია აუცილებლად უნდა იყოს როგორც შესაბამისი, ასევე, სამართლიანად წარმოდგენილი ანუ ობიექტური. თუ ინფორმაცია სამართლიანადაა წარმოდგენილი, მაგრამ არ შეესაბამისება საწარმოში მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებს, ის ვერ დაეხმარება მომხმარებლებს გადაწყვეტილებების მიღებაში. ასევე, არაა სასარგებლო ინფორმაცია, რომელიც შესაბამისია ეკონომიკური მოვლენების, თუმცა არასამართლიანადაა წარმოდგენილი.

განვიხილოთ საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლების მეორე ჯგუფი, რომელიც ამაღლებს ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობას. მას მიეკუთვნება:

**შესადარისობა:** ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელი გადაწყვეტილების მიღების დროს რამდენიმე ალტერნატივიდან მისთვის ყველაზე მისაღებს არჩევს. პოტენციური ინვესტორები ერთმანეთს ადარებენ სხვადასხვა საწარმოს მონაცემებს, რათა გადაწყვიტონ რომელ მათგანშია ყველაზე მომგებიანი ინვესტირება. საწარმოს შესახებ ინფორმაციის სარგებლიანობა იზრდება თუ შესაძლებელია მისი შედარება სხვა საწარმოს ანალოგიურ მაჩვენებელთან.

შესადარისობა შესაძლებლობას გვაძლევს სხვადასხვა ელემენტებს შორის მსგავსება და განსხვავება დავინახოთ და გავაანალიზოთ. შედარებისთვის ორი მუხლის არსებობაა აუცილებელი. სხვადასხვა საწარმოს მონაცემები ერთმანეთს რომ შევადაროთ, აუცილებელია ისინი ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდებს იყენებდნენ.

შესადარისობა გულისხმობს სხვადასხვა საწარმოს მიერ ან ერთი საწარმოს მიერ სხვადასხვა პერიოდში, ერთი და იმავე მუხლების მიმართ ერთი და იმავე მეთოდების გამოყენებას. [4, 27]

**შემოწმებადობა** ნიშნავს რომ სხვადასხვა დამოუკიდებელი დამკვირვებელი ერთსა და იმავე დასკვნის გამოტანას შეძლებს, თუმცა არაა აუცილებელი სრულიად დაეთანხმონ ერთმანეთს, რომ ინფორმაცია სამართლიანადაა წარდგენილი.

შემოწმებადობა შესაძლებელია იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი შემოწმებადობა გულისხმობს, რომ მონაცემის, ინფორმაციის შემოწმება შესაძლებელია უშუალო დაკვირვების საშუალებით. არაპირდაპირი შემოწმებადობა კი გულისხმობს მოდელის ამოსავალი მონაცემების, ფორმულებისა და მოდელის სხვა ელემენტების დამოუკიდებლად დათვლას. მომხმარებლის ნდობა უფრო მაღალია ისეთი ინფორმაციის მიმართ, რომლის შემოწმება არის შესაძლებელი.

**დროულობა-** ინფორმაცია დროულია, თუ მომხმარებელს ის მიეწოდება მაშინ, როდესაც შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღებაზე იქონიოს გავლენა. მონაცემები რაც უფრო ახალია უფრო სასარგებლოა. მიუხედავად ამისა, დიდი ხნის შემდეგაც არის შესაძლებელი ინფორმაცია იყოს დროული. მაგალითად, როდესაც მომხმარებელი მიზნად ისახავს ტენდენციების შესწავლას, მისთვის საინტერესო და სასარგებლოა გასული პერიოდის მონაცემებიც.

**აქტუალობა** - აქტუალი ინფორმაცია ადვილად გასაგებია, რაც მიიღწევა კლასიფიცირებით, სისტემატიზაციით, ნათლად და ლაკონურად ინფორმაციის წარმოდგენით.

აქტუალობა გულისხმობს, რომ რთული ფინანსური ინფორმაცია მაქსიმალურად გასაგებად იყოს წარმოდგენილი. თუმცა, ის ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებელი რომ ყოფილიყო, ანგარიშგებაში ვერ იქნებოდა მოცემული რთული, მაგრამ აუცილებელი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ეს ყველაფერი კი გამოიწვევდა ფინანსურ ანგარიშგებაში არასრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენას. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში აღნიშნულია, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი მომხმარებლებისთვის, რომელთაც გააჩნიათ საკმარისი ცოდნა ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში და შეუძლიათ მასში მოცემული მაჩვენებლების გაგება და ანალიზი.



### 1.3 ფინანსური ანგარიშგების ელემენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგების შესახებ. ეს მონაცემები დაჯგუფებულია ფართო კატეგორიებად მათი ეკონომიკური მახასიათებლების შესაბამისად. ამ კატეგორიებს კი ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს უწოდებენ.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია:

- ✓ აქტივები
- ✓ ვალდებულებები
- ✓ საკუთარი კაპიტალი
- ✓ შემოსავალი
- ✓ ხარჯები

ფინანსური ანგარიშგების პირველი სამი ელემენტი ( აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი) წარმოდგენილია ბუღალტრულ ბალანსში და წარმოდგენას გვიქმნის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ. განვმარტოთ თითოეული მათგანი:

**აქტივი** - მატერიალური ან არამატერიალური რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რომლის საფუძველზეც ის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას ელოდება. ეკონომიკური სარგებელი, რომელიც აქტივებშია განივთებული, გულისხმობს უნარს, რომ ხელი შეუწყოს საწარმოში ფულადი ნაკადების ან მათი ეკვივალენტების პირდაპირ ან არაპირდაპირ შემოღებას.

საწარმო იყენებს აქტივებს საქონლის საწარმოებლად ანდა მომსახურების გასაწევად, რომელიც განკუთვნილია შემდგომ მომხმარებელთა საჭიროებებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. საქონლის ან მომსახურების საფასურის მიღება კი საწარმოში ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოსვლას განაპირობებს.

აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემდეგი გზით შემოდის:

- აქტივები ცალკე ან სხვა აქტივებთან ერთად გამოიყენება საქონლის შექმნის ან მომსახურების გაწევის პროცესში;
- აქტივი იცლება სხვა აქტივზე;
- აქტივი გამოიყენება სხვადასხვა ვალდებულებების დასაფარად;
- აქტივი ნაწილდება საწარმოს მესაკუთრეთა შორის.

აქტივების ნაწილს გააჩნია ფიზიკური ფორმა, თუმცა ეს არაა აქტივის განმსაზღვრელი ერთადერთი თვისება. მაგალითად, საავტორო უფლება. მას არ გააჩნია ფიზიკური ფორმა, მაგრამ ჩაითვლება აქტივად თუ საწარმოს განკარგულებაშია და შესაძლებელია მისი გამოყენებით მომავალში ფულადი სახსრების მიღება.

ზოგიერთი აქტივი დაკავშირებულია სამართლებრივ და მათ შორის საკუთრების უფლებასთან. თუმცა ზოგჯერ საკუთრების უფლება არაა მთავარი. მაგალითად, იჯარით აღებული ქონება შემთხვევაში. ის ჩაითვლება აქტივად თუ საწარმო აკონტროლებს იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც ამ ქონების გამოყენებით შეიძლება მიიღოს. ეს საწარმოს მიერ მისი სამართლებრივი უფლებების განხორციელების შედეგია. სამართლებრივი კონტროლის არარსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია საგანი ჩაითვალოს აქტივად. მაგალითად, ნოუ-ჰაუ, რომელიც საცდელი სამუშაოების შედეგად შეიძლება მიიღოს საწარმომ. ის ჩაითვლება აქტივად, თუ ნოუ-ჰაუს საიდუმლოს შენახვის გზით საწარმო მომავალში გეგმავს ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

**ვალდებულებები** - საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა ან პასუხისმგებლობა. ის წარმოიშვება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მისი დაფარვა დაკავშირებულია საწარმოს რესურსების შემცირებასთან. ვალდებულება შესაძლოა ძალაში შევიდეს კონტრაქტის ან საკანონმდებლო მოთხოვნის ძალით. მაგალითად, საწარმოს წარმოექმნება ვალდებულება თუ შეიძენს საქონელს ანდა მიიღებს მომსახურებას და თანხის გადახდა არ მოხდება წინასწარ ან საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის მომენტში.

ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ მიმდინარე მოვალეობა და მომავალი ვალდებულება. საწარმოს მიერ მხოლოდ გადაწყვეტილების მიღება მომავალში რაიმე საქონლის ან მომსახურების შეძენასთან დაკავშირებით არ წარმოშობს ვალდებულებას. ვალდებულება წარმოიშვება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება აქტივის მიღება. ასევე, უნდა განვიხილოთ საწარმოს მიერ შეუქცევადი ხელშეკრულების დადების შემთხვევა. ასეთ დროს, როგორც წესი ხელშეკრულების შეუსრულებლობა ითვალისწინებს დიდი ოდენობით ჯარიმას და შესაბამისად, ეს საწარმოს ხელმძღვანელობას რესურსების სხვა მიმართულებით გამოყენების უფლებას არ აძლევს.

**საკუთარი კაპიტალი** - საწარმოს აქტივების ნაწილი, რომელიც დარჩენილია მისი ვალდებულებების დაფარვის შემდეგ. ბალანსში საკუთარი კაპიტალი შესაძლოა დაყოფილი იყოს შემდეგ ქვეჯგუფებად: სააქციო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება, გაუნაწილებელი მოგებიდან შექმნილი რეზერვები და რეზერვები, რომლებიც კაპიტალის შენარჩუნებას უზრუნველყოფენ. ასეთი სტრუქტურა გვიჩვენებს მესაკუთრეების განსხვავებულ უფლებებს დივიდენდების მიღებასა და კაპიტალის ამოღებასთან დაკავშირებით. ეს კი ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებისთვის შესაძლოა საინტერესო აღმოჩნდეს.

ზოგჯერ კანონმდებლობით ანდა წესდებითაა მოთხოვნილი რეზერვების შექმნა. მისი მიზანია კრედიტორების და მესაკუთრეების დამატებითი დაცვა. რეზერვების შექმნა უფრო მეტად გულისხმობს მიღებული შემოსავლების შენარჩუნებას, ვიდრე დანახარჯების გაწევას.

**კაპიტალის ფინანსური კონცეფცია** - კაპიტალი, როგორც ინვესტირებული ფული ან მსყიდველობითი უნარი, გაიგივებულია წმინდა აქტივებთან ან საკუთარ კაპიტალთან. ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს საწარმოთა უმეტესობა სწორედ ამ კონცეფციას იყენებს.

**კაპიტალის ფიზიკური კონცეფცია** - კაპიტალი განიხილება საწარმოს მწარმოებლურობის სახით, რომელიც შეიძლება გამოვსახოთ მაგალითად, პროდუქციის დღიური გამოშვების მოცულობით.

საწარმოს საქმიანობის შეფასებისათვის ხშირად გამოიყენება მოგების მაჩვენებელი, რომელიც ორი ელემენტით განისაზღვრება: შემოსავლები და ხარჯები.

**შემოსავალი** - საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდა, საანგარიშგებო პერიოდში აქტივების გაზრდის(შემოსვლის) ან ვალდებულებების შემცირების გზით. ეს აისახება საწარმოს საკუთარი კაპიტალის ზრდაზე, რომელიც გამოწვეული არაა მესაკუთრეთა მიერ საკუთარ კაპიტალში განხორციელებულ დამატებით შენატანებთან. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინვე, როგორც კი გაიზრდება საწარმოს აქტივები ან შემცირდება ვალდებულებები. მაგალითად, საქონლის რეალიზაციის შედეგად აქტივების გაზრდა ან კრედიტორების მხრიდან ვალზე უარის თქმის შემთხვევაში ვალდებულებების შემცირება. შემოსავალს მიეკუთვნება ამონაგები და შემოსულობა. ამონაგებში იგულისხმება : ამონაგები რეალიზაციიდან, მიღებული პროცენტები, დივიდენდი, როიალტი და საიჯარო ქირა. ხოლო შემოსულობა ესაა შემოსავალი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ან არ წარმოიშვას.

**ხარჯები** - საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდში აქტივების შემცირების ან ვალდებულებების გაზრდის საფუძველზე. ეს გამოიხატება საკუთარი კაპიტალის შემცირებით და არაა დაკავშირებული მესაკუთრეთა მიერ კაპიტალის განაწილებასთან. როცა მოხდება აქტივების შემცირების ან ვალდებულებების ზრდის აღიარება, მაშინ ხდება ხარჯების აღიარება. მაგალითად, თანამშრომლებისათვის ხელფასის დარიცხვა, ცვეთის დარიცხვა და ა.შ. ხარჯები მოიცავს ზარალს (დანაკარგებს) და ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს საქმიანობის პროცესში. ასეთი ხარჯებია რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, ცვეთა და სხვა. ზარალი დაკავშირებულია საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემცირებასთან და თავისი ბუნებით სხვა ხარჯებისგან არ განსხვავდება. კონცეპტუალურ საკითხებში ის ცალკე არ განიხილება. ზარალი შესაძლოა გამოიწვიოს ისეთმა არაორდინალურმა მოვლენებმა როგორცაა წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და ა.შ. აღსანიშნავია, ფარული ზარალი გამოწვეული უცხოური ვალუტის კურსის ზრდით.

**ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება** - საწარმოს ბალანსში ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ მუხლების სიტყვიერი და თანხობრივი ასახვა, რომლებიც აკმაყოფილებენ მოცემული ელემენტის განსაზღვრებას და აღიარების კრიტერიუმებს.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება:

- თუ ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან გასვლა მოსალოდნელია;
- თუ მუხლს გააჩნია ღირებულება ან თვითღირებულება, რომელიც შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს.

**ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასება** - ფულადი თანხების შეფასების პროცესი, რომლის საფუძველზეც ხდება ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება და ასახვა ბალანსსა და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გამოიყოფა შეფასების რამდენიმე მეთოდი:

- **პირვანდელი ღირებულება** - აქტივების შეფასება ხდება მათი შეძენის ან წარმოების დროს გადახდილი (დახარჯული) ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების ოდენობით, ან რეალური ღირებულების ოდენობით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის დროს. ვალდებულებების შეფასება ხდება იმ აქტივის თანხის ოდენობით, რომელიც მიღებულია კონკრეტული ვალდებულების სანაცვლოდ.
- **მიმდინარე ღირებულება** - აქტივის შეფასება ხდება თანხის იმ ოდენობით, რომელიც საწარმოს უნდა გადაეხადა შეფასების მომენტისათვის მისი ან ანალოგიური აქტივის სანაცვლოდ. ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებული თანხის ოდენობით, რომელიც საჭიროა მის დასაფარავად მიმდინარე პერიოდში.
- **რეალიზებადი ღირებულება (საანგარიშსწორებო ღირებულება)** - აქტივის შეფასდება ხდება თანხის იმ ოდენობით, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა ამ აქტივის გაყიდვით მიმდინარე პერიოდში. ვალდებულებები კი ფასდება არადისკონტირებული თანხის ოდენობით, რომელიც საჭიროა მის დასაფარად.

- **დღევანდელი ღირებულება** - აქტივების შეფასება ხდება მომავალი წმინდა ფულადი სახსრების შემოსულობების დღევანდელი ღირებულებით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია კონკრეტული აქტივიდან. ანალოგიურად, ვალდებულებები აღირიცხება მომავალი წმინდა ფულადი სახსრების გასავლების დღევანდელი ღირებულებით, რომლის გადახდაც აუცილებელია მის დასაფარად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბასს აღიარება პირვანდელი ღირებულების მეთოდს

#### 1.4 ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი კომპონენტები

ფინანსური ანგარიშგება შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ანუ ბუღალტრული ბალანსი;
- პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგება ანუ მოგება/ზარალის ანგარიშგება;
- პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება;
- პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
- განმარტებითი შენიშვნები, სადაც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

**ბალანსი** - ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი კომპონენტი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შესახებ, საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსთვის. მას ასევე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასაც უწოდებენ. ბალანსში მოცემულია ერთი მხრივ საწარმოს რესურსები (აქტივები), მეორე მხრივ მათი დაფინანსების წყაროები (ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი).

ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის მქონე საწარმოს ბალანსი ეყრდნობა შემდეგ ტოლობას, რომელსაც საბალანსო ტოლობასაც უწოდებენ:

**აქტივი = ვალდებულებას + საკუთარი კაპიტალი**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულია ინფორმაცია საწარმოს რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების სიდიდისა და ხასიათის შესახებ. ეს ეხმარება ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ძლიერი და სუსტი მხარეები განსაზღვრონ, შეაფასონ მისი ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა და დაფინანსების დამატებით წყაროებზე არსებული მოთხოვნილება. ბალანსის მონაცემების მიხედვით ხდება იმის შეფასება საწარმო ფინანსურად დამოუკიდებელია თუ სხვებზეა (კრედიტორებზე) დამოკიდებული. ასევე, შეუძლია თუ არა მას დროულად დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში)ერთმანეთისგან განცალკევებულად უნდა აისახოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივები და გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები. თუმცა, როდესაც ლიკვიდობის მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაცია უფრო საიმედო და შესაბამისია, ყველა აქტივისა და ვალდებულების წარდგენა უნდა მოხდეს ლიკვიდობის მიხედვით.

აქტივი მიეკუთვნება მოკლევადიან აქტივს თუ ის აკმაყოფილებს რომელიმე პირობას:

- ✓ საწარმო ვარაუდობს მოცემული აქტივის რეალიზაციას, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან გამოყენებას საწარმოო ციკლის განმავლობაში;
- ✓ აქტივი გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ✓ ნავარაუდებია აქტივის რეალიზება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- ✓ აქტივი არის ფულადი სახსრები ან მათი ექვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულებისგადასახდელად შეზღუდულია ბალანსის შედგენიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში.

საწარმოს განკარგულებაში არსებული ყველა სხვა აქტივი მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მიეკუთვნება მოკლევადიანს თუ აკმაყოფილებს რომელიმე პირობას:

- ✓ ამ ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია საწარმოო ციკლის განმავლობაში;
- ✓ ვალდებულება გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ✓ ვალდებულების დაფარვა უნდა მოხდეს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- ✓ საწარმოს არ აქვს მოცემული ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში.

საწარმოს ყველა სხვა ვალდებულება მიეკუთვნება გრძელვადიან ვალდებულებებს.

საწარმოს საწარმოო ციკლი არის პერიოდი, რომელიც იწყება ნედლეულისა და მასალის შექმნით და მთვარდება მზა პროდუქციის რეალიზაციით.

ბალანსში აუცილებლად უნდა იყოს ასახული მინიმუმ შემდეგი მუხლების შესაბამისი თანხები:

1. ძირითადი საშუალებები;
2. საინვესტიციო ქონება;
3. არამატერიალური აქტივები;
4. ფინანსური აქტივები;
5. ინვესტიციები, რომლებიც აღირიცხება წილობრივი მეთოდით;
6. ბიოლოგიური აქტივები, რომლებიც განეკუთვნება ბასს 41-ის - „სოფლის მეურნეობა“ - მოქმედების სფეროს;
7. მარაგი;
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები;
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;



10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები;
11. ანარიცხები;
12. ფინანსური ვალდებულებები;
13. მიმდინარე საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ში - „მოგებიდან გადასახადები“;
14. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც ეს განმარტებულია ბასს 12-ში;
15. ფასს 5-ის შესაბამისად გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში შემავალი ვალდებულებები;
16. არამაკონტროლებელი წილი, რომელიც წარმოდგენილია საკუთარ კაპიტალში;
17. გამოშვებული სააქციო კაპიტალი და მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი რეზერვები. [2, პ. 54]

ბალანსში მუხლების განლაგება როგორც წესი ლიკვიდურობის მიხედვით ხდება. ლიკვიდურობის ზრდის მიხედვით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ჯერ გრძელვადიანი აქტივებია მოცემული და შემდეგ მოკლევადიანი აქტივები. ხოლო თუ ბალანსი ლიკვიდურობის კლების მიხედვითაა შედგენილი, ჯერ მოკლევადიანი აქტივებია ასახული და შემდეგ გრძელვადიანი. თუმცა ეს საკითხი არაა არსებითი და მთავარია სწორად მოხდეს მუხლების სწორად დაჯგუფება.

ბალანსი შესაძლოა მომზადებული იყოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფორმატით. ვერტიკალური ფორმატის გამოყენების დროს, ჯერ მოცემულია აქტივები, შემდეგ კი ვალდებულებები და ბოლოს კაპიტალი.

ჰორიზონტალური ფორმატის დროს კი გვაქვს ორგვერდიანი ბალანსი: ერთ მხარეს მოცემულია აქტივები, მეორე მხარეს კი პასივები: ვალდებულებები და კაპიტალი. ბალანსის გარეგნული მხარეც არაა არსებითი საკითხი.

**მოგება ზარალის ანგარიშგება** - გვიჩვენებს ინფორმაციას საწარმოს ფინანსური შედეგების შესახებ. ამ ანგარიშგების გამოყენებით მომხმარებელს შეუძლია გაიგოს რა უკუგება მიიღო საწარმომ მის განკარგულებაში არსებული რესურსების გამოყენებით, რამდენად ეფექტიანად შეასრულა ხელმძღვანელობამ მასზე დაკისრებული ვალდებულებები და როგორი უკუგებაა მომავალში მოსალოდნელი.

მოგება/ზარალის ანგარიშგებას ასევე სრული შემოსავლების ანგარიშგებაც ეწოდება. ის შეიძლება საწარმომ წარმოადგინოს ერთი ანგარიშგების ან ორი ანგარიშგების სახით. საწარმოს შეუძლია მოამზადოს ერთი მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, რომელშიც მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავალი მოცემული იქნება ორ განყოფილებად. პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგება/ზარალი. მეორე ნაწილში კი ისეთი საქმიანობიდან მიღებული მოგება/ზარალია წარმოდგენილი, რომელიც საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობას არ მიეკუთვნება. საწარმო სრული შემოსავლის ანგარიშგებას ორი ანგარიშგების სახით თუ წარმოადგენს, ერთი იქნება მოგება/ზარალის ანგარიშგება და მეორე სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება.

მოგება/ზარალის ანგარიშგება უნდა მოიცავდეს შემდეგი მუხლების შესაბამის თანხებს:

1. ამონაგები, რომელშიც გამოყოფილი უნდა იყოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო ამონაგები;
2. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების აღარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი;
3. ფინანსური დანახარჯები;
4. გაუფასურების ზარალი;
5. წილობრივი მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებისა და ერთობლივი საწარმოების მოგების ან ზარალის წილი;
6. საგადასახადო ხარჯი;
7. შეწყვეტილი ოპერაციების ჯამური, ერთიანი თანხა. [2, პ.82]

საწარმოს მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მოცემული ხარჯების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს მათი ეკონომიკური შინაარსის ან მათი ფუნქციების მიხედვით. ამ ორ მეთოდს შორის არჩევანი დამოკიდებულია საწარმოს თავისებურებებზე და ისე უნდა იქნას შერჩეული, რომ მისი საქმიანობის უკეთ წარმოჩენა მოხდეს.

მოცემულია ხარჯების კლასიფიკაცია მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით:

1. ამონაგები		X
2. სხვა შემოსავლები		X
3. ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგში	X	
4. გამოყენებული ნედლეული და მასალები	X	
5. პერსონალის შენახვის ხარჯები	X	
6. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	X	
7. სხვახარჯები	X	
8. სულხარჯები (3+4+5+6+7)		(X)
9. მოგებადაბეგვრამდე (1+2-8)		X

დანახარჯების დაჯგუფება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ძირითადად გვხვდება მატერიალური წარმოების (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა) საწარმოებში.

მეორე მეთოდის მიხედვით ხარჯები წარმოდგენილია მათი ფუნქციების მიხედვით. პირდაპირი მასალის , პირდაპირი შრომის და საწარმოო ზედნადები ხარჯები გაერთიანებულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების თანხაში. ცალკეა წარმოდგენილი ადმინისტრაციული, კომერციული ხარჯები.

ამონაგები	X
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(X)
საერთო მოგება	X
სხვა შემოსავლები	X
კომერციული ხარჯები	(X)
ადმინისტრაციული ხარჯები	(X)
სხვახარჯები	(X)
<b>მოგება</b>	<b>(X)</b>

### ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადები არის ორგანიზაციაში ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების შემოსვლა და გასვლა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხებს არეგულირებს **ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 7 (ზასს 7)**. ის განსაზღვრავს საწარმოში ფულადი ნაკადების სხვადასხვა ხასიათის ცვლილებებს, მათ მოძრაობას და დაყოფას საქმიანობის სახეების მიხედვით. საწარმომ უნდა მოამზადოს ფულადი ნაკადების ანგარიშგება ამ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგინოს იგი, როგორც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი, ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება მომხმარებლებს ეხმარება შეაფასონ საწარმოს მიერ ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობა და გამოყენების მოთხოვნილება.

ასევე, ის საშუალებას იძლევა შეფასდეს და შემდეგ ერთმანეთს შეედაროს სხვადასხვა საწარმოს მომავალი პერიოდის ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება. ის აადვილებს სხვადასხვა საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების შედარებას, რადგან ანგარიშგებაში გამოორიცხულია ერთი და იმავე ოპერაციებისა და მოვლენების მიმართ ბუღალტრული აღრიცხვის განსხვავებული მიდგომების გამოყენების გავლენა. ფულადი ნაკადების ანგარიშგება მოიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მოცემული არ არის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებასა და სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. მისი დახმარებით შესაძლებელია განვსაზღვროთ საწარმოს ლიკვიდურობა, სიცოცხლისუნარიანობა და ადაპტაციის უნარი. ის ასახავს საწარმოს მომგებიანობასა და ფულადი სახსრების გამომუშავების უნარიანობას შორის თანაფარდობაზე.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ:

1. შეუძლია თუ არა საწარმოს დაფაროს ძირითადი ვალდებულებები საკუთარი საქმიანობით გამომუშავებული ფულადი სახსრებით;
2. საწარმოს ხომ არ აქვს ფულის დეფიციტი ან თუ აქვს რა მიმართულებით;
3. სჭირდება თუ არა საწარმოს დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვა და რა გზები არსებობს ამისთვის;
4. როგორია საწარმოში ფულის ბრუნვის სიჩქარე;
5. რამდენად იფარება საწარმოს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები;

ბასს 7-ის თანახმად საწარმომ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ფულადი ნაკადები უნდა დააჯგუფოს საქმიანობის სფეროების მიხედვით : საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადები.


**საოპერაციო საქმიანობა**ბასს 7-ის მიხედვით არის საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი და სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა. ესაა საწარმოს მთავარი საქმიანობა და ძირითადად მასზეა კონცენტრირებული დანახარჯები და მას მოაქვს მთავარი შემოსავლები. საოპერაციო საქმიანობის შეუფერხებლად მიმდინარეობას კი არასაოპერაციო ხარჯები და

შემოსავლები ემსახურება. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან ისეთი მოვლენებისა და პროცესების შედეგად წარმოიქმნება, რომლებიც მონაწილეობენ საწარმოს მოგებისა და ზარალის განსაზღვრაში.

საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადებია:

- ✓ საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- ✓ როიალტებიდან, ჰონორარებიდან, საკომისიო გადასახდელებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- ✓ საქონელსა და მომსახურებაზე მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები;
- ✓ თანამშრომლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები;
- ✓ სადაზღვეო პრემიებითა და პრეტენზიებით, ანუიტეტებითა და სხვა სადაზღვეო დახმარებებით მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები;
- ✓ მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა ან დაბრუნება, თუ იგი დაკავშირებული არ არის საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობასთან;
- ✓ კომერციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით დადებული კონტრაქტებით მიღებული და გახდილი ფულადი სახსრები.[3, პ.14]

**საინვესტიციო საქმიანობა** უკავშირდება გრძელვადიანი აქტივებისა და იმ სხვა ინვესტიციასა და რეალიზაციას, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტები. საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები გვიჩვენებს იმ რესურსებისათვის გაწეულ ფულად დანახარჯებს, რომლებმაც მომავალში შემოსავლები და ფულადი ნაკადები უნდა შექმნან. საინვესტიციო საქმიანობის დანახარჯებში ძირითადად გვხვდება ისეთი დანახარჯები რომლის გაწევაც ინვესტიციის აღიარებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.



საფინანსო საქმიანობაარის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები სახსრები.საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების ცალკე გამოყოფა სასარგებლოა, რათა შეფასდეს კაპიტალის მომწოდებლების მოსალოდნელი პრეტენზიები სამომავლო ფულადი ნაკადების მიმართ.

ბასს 7 გამოყოფს საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების შემდეგ მაგალითებს:

- ✓ აქციებისა და საკუთარი კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;
- ✓ მესაკუთრეთათვის აქციების შექმნის ან გამოსყიდვის მიზნით გადახდილი ფულადი სახსრები;
- ✓ სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, თამასუქების, ობლიგაციების, გირაოებისა და სხვა მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სესხების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;
- ✓ სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები;
- ✓ მოიჯარის მიერ ფინანსური იჯარის ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები.[3,პ.17]

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიძლება მომზადდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდით.

საწარმომ პირდაპირი მეთოდით ცალ-ცალკე უნდა მოამზადოს და შემდგომ წარადგინოს საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები, ძირითადი კატეგორიების მიხედვით.

პირდაპირი მეთოდით მომზადებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება გვიჩვენებს ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიან ნაკადებს, ძირითადი კატეგორიების მიხედვით.

ფულადი სახსრების მოძრაობის გამოთვლა შესაძლებელია :

- საწარმოს საბუღალტრო ჩანაწერების საფუძველზე, შემოსული და გასული ფულის პირდაპირი შეკრებით;
- სრული შემოსავლის ანგარიშგების ( მოგება-ზარალის ანგარიშგება ) , ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსი) ინფორმაციითა და მაკონტროლებელი ანგარიშგების გამოყენებით შემდეგი მუხლებისთვის: გაყიდვები, შესყიდვები და ხელფასები.

პირდაპირი მეთოდის საშუალებით შემოსულობები და გადასახდელები წარმოდგენილია სინქროულად – დროის მიხედვით. ანგარიშგებაში დეტალურად აისახება ფულადი საშუალებების მოძრაობა სხვადასხვაანგარიშზე, რაც თავის მხრივ, ოპერატიული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება ფულადი ნაკადების მომავალი ფულადი ნაკადების შესაფასებლად. ამის საშუალებას არაპირდაპირი მეთოდი არ გვაძლევს.

მიუხედავად, ამდენი უპირატესობისა პირდაპირი მეთოდის გამოყენებას გარკვეული ნაკლოვანებაც გააჩნია. იგი არ ხსნის ურთიერთკავშირს მიღებულ ფინანსურ შედეგსა (მოგება ან ზარალი ) და საწარმოს ანგარიშებზე ფულადი საშუალებების ცვლილებებს შორის.



არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების დროს წმინდა მოგება ან ზარალის კორექტირება ხდება არაფულადი მუხლებით, წარსული ან მომავალი პერიოდის საოპერაციო შემოსავლებისა და გადახდების გადავადების ან დარიცხვის გათვალისწინებით, აგრეთვე იმ შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულად ნაკადებთან.

არაპირდაპირი მეთოდის გამოყენება ხდება მხოლოდ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების გაანგარიშებისას. ამ დროს მოგება ფულად საშუალებებად კონვერტირდება. როგორც ვიცით, მოგების გამოსათვლელად დარიცხვის მეთოდით მიღებული შემოსავლები და ხარჯები გამოიყენება, რომლებსაც შეიძლება არც ახლავდეს თან ფულის შემოდინება და გადინება. სწორედ ამიტომ მოგებას ვაკორექტირებთ არაფულადი მუხლებითა და დარიცხვებით, რომლებიც მოგების გამოთლაში მონაწილეობდნენ, მაგრამ ფულად ნაკადებზე გავლენას არ ახდენენ. მაშასადამე, არაპირდაპირი მეთოდი საშუალებას იძლევა ფინანსური შედეგების სიდიდიდან (მოგება ან ზარალი) გადავიდეთ წმინდა ფულადი სახსრების მაჩვენებელზე.

არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით საოპერაციო საქმიანობის წმინდა ფულადი ნაკადების გამოსათვლელად წმინდა მოგება და ზარალის კორექტირება ხდება შემდეგი მუხლებით:

- ✓ საანგარიშგებო პერიოდში სასაქონლო მატერიალურ მარაგებში, მოთხოვნებსა და ვალდებულებებში მომხდარი სხვადასხვა სახის ცვლილებები;
- ✓ ისეთი არაფულადი მუხლები, როგორცაა: ცვეთა, გადავადებული გადასახადები, ანარიცხები, უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსავლები და დანაკარგები, გაუნაწილებელი მოგება მეკავშირე საწარმოებს შორის;
- ✓ სხვა მუხლები, რომლებიც ასახავს საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს;

მოგების კორექტირება შეიძლება შემდეგი ცხრილის სახითაც წარმოვადგინოთ:

წმინდა მოგება

+ დარიცხული მოგების გადასახადი

---

= მოგება დაბეგრამდე

+ ცვეთა

+დარიცხული პროცენტები

+გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ზარალი

-გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგება

-საინვესტიციო შემოსავალი

---

= მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე

(+/-) დებიტორული დავალიანების ცვლილება (შემცირება/ზრდა)

(+/-) მარაგების ცვლილება (შემცირება/ზრდა)

(+/-) კრედიტორული დავალიანების ცვლილება (შემცირება/ზრდა)

---

= ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

- გადახდილი მოგების გადასახადი

- გადახდილი პროცენტები

- გადახდილი დივიდენდები

---

=

წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება - ასახავს საანგარიშგებო პერიოდში საკუთარი კაპიტალის ცვლილებას. საკუთარი კაპიტალი შესაძლოა შეიცვალოს საწარმოს საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე ან მესაკუთრეთა ქმედების შედეგად ინვესტიციებთან მიმართებით. საერთო წმინდა ფინანსური მოგება და პარტნიორთა შენატანების ზრდა ზრდის საკუთარი კაპიტალის სიდიდეს. ხოლო საერთო წმინდა ფინანსური ზარალი, საწესდებო კაპიტალის შემცირება ანდა პარტნიორთა მიერ დივიდენდის გატანა ამცირებს საკუთარ კაპიტალს.

ბასს 1-ის მიხედვით საწარმომ საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში უნდა ასახოს:

- საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი;
- შემოსავლების და ხარჯების ის მუხლები, რომელთა აღიარება საკუთარ კაპიტალში ხდება;
- საადრიცხვო პოლიტიკის ცვლილება თუ შეცდომების კორექტირება, საკუთარი კაპიტალის ყოველი კომპონენტისათვის.

## თავი 2. შპს დემასის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხები

### 2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

ფინანსური ანგარიშგება მის მომხმარებლებს აწვდის დიდი მოცულობის და მნიშვნელოვან ინფორმაციას კონკრეტული საწარმოს შესახებ, რომელსაც ისინი გადაწყვეტილების მიღების დროს იყენებენ. ის რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. ქვემოთ განხილულია თითოეული მათგანი კონკრეტული კომპანიის, შპს დემასის მაგალითზე.

შპს დემასი 2000 წელს დაარსდა და ახორციელებს ევროპიდან და აზიიდან იმპორტირებული სარემონტო და მოსაპირკეთებელი მასალით საცალო და საბითუმო ვაჭრობას საქართველოში. პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება თბილისში მდებარე ორი სავაჭრო ცენტრის მეშვეობით: გალერეა დემასი და სავაჭრო ცენტრი იდეალი. 2016 წლიდან კი ქუთაისშიც ხდება დემასის საქონლის რეალიზაცია.

შპს დემასის ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებითაა მომზადებული, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის. ანგარიშგებაში გამოყენებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდი, გარდა ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებისა, რომელიც ხდება ამ ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით. ფინანსური ანგარიშგება აუდირებულია და გამოქვეყნებულია საჯაროდ.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი. ფულადი აქტივები და ვალდებულებები ლარში გადაიწყვანება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი კომპონენტია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება. ის წარმოდგენას გვიქმნის საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის მოცულობისა და შემადგენლობის შესახებ. ასევე წარმოდგენას გვიქმნის, როგორ იცვლებოდა ბალანსის ელემენტები წლების მიხედვით და რა გავლენა ქონდა ამ ცვლილებებს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

### ცხრილი 2.1.1

შპს დემასის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ათას ლარებში)


ათას ლარში	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი	1 იანვარი 2017 წელი
<b>აქტივები</b>			
<b>გრძელვადიანი აქტივები:</b>			
ძირითადი საშუალებები	22,086	15,241	15,030
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები	185	470	430
ხრილისაინვესტიციო ქონება	4,356	4,689	5,022
არამატერიალური აქტივები	129	165	202
ვადიანი დეპოზიტები	12,448	30,178	6,641
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>39,204</b>	<b>50,743</b>	<b>27,325</b>
<b>მიმდინარე აქტივები:</b>			
მარაგები	17,564	19,603	17,416
გადახდილი ავანსები	537	850	648
სავაჭრო მოთხოვნები	333	314	409
ვადიანი დეპოზიტები	33,044	6,747	16,270
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,327	3,923	2,676
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>54,805</b>	<b>31,437</b>	<b>37,419</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>94,009</b>	<b>82,180</b>	<b>64,744</b>
<b>კაპიტალი:</b>			
საწესდებო კაპიტალი	2	2	2
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	92,128	78,540	62,746

სულ კაპიტალი	92,130	78,542	62,748
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	345	784	500
სახელშეკრულებო ვალდებულებები	858	2,070	851
სხვა საგადასახადო დავალიანებები	676	784	645
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,879	3,638	1,996
სულ ვალდებულებები	1,879	3,638	1,996
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	94,009	82,180	64,744

გრძელვადიანი აქტივების ნახევარზე მეტი (56%) ძირითად საშუალებებზე მოდის. დაახლოებით 32 % კი ვადიანი დეპოზიტებია. გრძელვადიანი აქტივების ჯამური ღირებულება 2018 წელს შემცირებულია 2017 წელთან შედარებით, ძირითადად ვადიანი დეპოზიტების მნიშვნელოვნად შემცირების გამო.

### სქემა 2.1.1

შპს დემასის გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურა 2018 წლის 31 დეკემბერს



**ძირითადი საშუალებები** აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ანარიცხით და გაუფასურების ანარიცხით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთი ინდიკატორის არსებობის შემთხვევაში განისაზღვრება ანაზღაურებადი ღირებულება (გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს). საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ხოლო დანარჩენი ძირითადი საშუალებებისთვის ცვეთა წრფივი მეთოდით გამოითვლება, რომლის დროსაც მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულება ნაწილდება დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. სასარგებლო მომსახურების ვადები კი ძირითადი საშუალებების სხვადასხვა ჯგუფისთვის ასე გამოიყურება:

- შენობა-ნაგებობები 20 წელი;
- ავტომობილები 5 წელი;
- საოფისე და სხვა აღჭურვილობა 5 წელი;


სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები კორექტირდება თუ ამის საჭიროებაა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სქემა 2.1.2-ის მიხედვით მიწისა და შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება 2018 წელს მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, დაახლოებით 50 % ით. ზრდა განპირობებულია მათი შეძენით. ასევე, გაზრდილია დაუსრულებელი მშენებლობის საბალანსო ღირებულებაც. დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს ქალაქ ბათუმში სავაჭრო ცენტრის მშენებლობას და მასთან დაკავშირებულ დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს. როდესაც მშენებლობა დასრულდება ის გადავა მიწა და შენობა-ნაგებობების კატეგორიაში. საერთო ჯამში კი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2018 წელს გაზრდილია 6,845 ათასი ლარით 2017 წელთან შედარებით.

მისი შემადგენელი ყველა კატეგორიის საბალანსო ღირებულება გაზრდილია, საოფისე აღჭურვილობა და სხვა ავეჯის გარდა. მისი საბალანსო ღირებულება 21 ათასი ლარით და 27 %-ითაა შემცირებული.

### სქემა 2.1.2

შპს დემასის ძირითადი საშუალებების შემადგენლობის ცვალებადობა წლების მიხედვით (ათასი ლარი)



**საინვესტიციო ქონება** - ქონება, რომელსაც კომპანია იყენებს საიჯარო შემოსავლის მიღების ანდა კაპიტალის გაზრდის მიზნით და რომელიც არ გამოიყენება კომპანიის საოპერაციო საქმიანობის განხორციელების დროს.

შპს დემასის საინვესტიციო ქონება მოიცავს ოთხ კომერციულ ფართს, რომელთა ჯამური ფართობი 829 კვადრატული მეტრია. ეს ფართი გაქირავებულია მოიჯარეებზე 1-დან 5 წლამდე საიჯარო პერიოდით. მიღებული შემოსავალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც „საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი“. 2018 წელს მიღებულმა შემოსავალმა 722 ათასი ლარი შეადგინა.




ამ ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 20 წლით და ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. ცვეთის ხარჯი ასახულია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები“. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე შემცირებულია ცვეთის ხარჯის თანხით - 333 ათასი ლარით. ასევე 2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე 333 ათასი ლარის ცვეთა დაერიცხა და შემცირდა მისი საბალანსო ღირებულება 4,356 ათას ლარამდე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება განსაზღვრა იმის, არსებობს თუ არა საინვესტიციო ქონების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი და ასეთის არსებობის შემთხვევაში ფასდება მისი ანაზღაურებადი ღირებულება. საბალანსო ღირებულება აქტივის ანაზღაურებად ღირებულებადე ჩამოიწერება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

**არამატერიალური აქტივები** - შპს დემასის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ არამატერიალური აქტივები შემცირებულია, 2017 წლის განმავლობაში და ასევე, 2018 წელს დაახლოებით 22% ით 2017 წელთან შედარებით. არამატერიალური აქტივების მოცულობის ცვლილება მოცემულია გრაფიკზე.


**სქემა 2.1.3**

**შპს დემასის არამატერიალური აქტივების ცვლილება წლების მიხედვით (ათასი ლარი)**



## სქემა 2.1.4

შპს დემასის მიმდინარე აქტივების სტრუქტურა 2018 წლის 31 დეკემბერს.




როგორც გრაფიკიდან ჩანს მიმდინარე აქტივების საკმაოდ დიდი ნაწილი 64 % ვადიან დეპოზიტებზე მოდის, რომელიც დეტალურად განხილულია ქვემოთ. ასევე დიდი მოცულობითაა წარმოდგენილი მარაგები - 34 %. მოთხოვნებსა და ავანსებს კი თანაბრად 1-1 % უკავიათ.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 74 % -ითაა გაზრდილი მიმდინარე აქტივები 2017 წელთან შედარებით და ეს დიდწილად განპირობებულია ვადიანი დეპოზიტების მნიშვნელოვანი ზრდით. სხვა მაჩვენებლები შემცირებულია წინა წელთან შედარებით, მხოლოდ სავაჭრო მოთხოვნებია მცირედით გაზრდილი.

**მარაგები** - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს დემასის მარაგები შემდეგი კომპონენტებისგან შედგებოდა: საქონელი გზაში, სარეალიზაციო პროდუქცია და სხვა მარაგები.

## სქემა 2.1.5

### შპს დემასის მარაგების სტრუქტურა 2018 წლის 31 დეკემბერს



**ვადიანი დეპოზიტები** - დეპოზიტები, რომლებიც ინახება ბანკში და რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე მეტია. შპს დემასის ხელმძღვანელობა თავისუფალ ფულად სახსრებს აბანდებს საქართველოში არსებულ ბანკებში დოლარში დენომინირებული ვადიანი დეპოზიტების სახით.

ვადიანი დეპოზიტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ხოლო, შემდგომ უკვე ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ვადიანი დეპოზიტები გვხვდება შპს დემასის როგორც მიმდინარე ასევე გრძელვადიან აქტივებში. 2018 წელს აღსანიშნავია მათი მნიშვნელოვანი ზრდა რამაც ჯამში აქტივების ზრდა განაპირობა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს დემასის ვადიანი დეპოზიტების ღირებულება შეადგენდა 45,492 ათას ლარს.

ვადიანი დეპოზიტებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება, როგორც ფინანსური შემოსავალი და აისახება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. 2018 წლისთვის ფინანსური შემოსავალი იყო 2,444 ათასი ლარი და ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ აღემატებოდა 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

**ავანსები** - ავანსების ნაწილი ძირითადი საშუალებების შესაძენად იყო გადახდილი, ნაწილი მარაგების და დანარჩენი კი სხვა ავანსების კატეგორიას მიეკუთვნება. 2017 წელთან შედარებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ავანსების ჯამური ღირებულება შემცირებულია ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიაში.


- ძირითადი საშუალებისთვის გადახდილი ავანსები შემცირდა 470 ათასიდან 185 ათასამდე;
- მარაგების შესაძენად გადახდილი ავანსები 850 ათასიდან 537 ათასამდე.

ეს შესაბამისი საქონლის ანდა მომსახურების მიღების შედეგად ავანსის შეწყვეტის შედეგადაა გამოწვეული.

აქტივების განხილვის შემდგომ, დავახასიათოთ შპს დემასის ვალდებულებები, რომლებიც ძირითადად მიმდინარე ვალდებულებებისგან შედგება.

### სქემა 2.1.6

**შპს დემასის ვალდებულებების სტრუქტურა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**



2018 წლის ბოლოს შპს დემარის ვალდებულებების თითქმის ნახევარი - 46% სახელშეკრულებო ვალდებულებებზე მოდის. მათი ჯამური ღირებულება 858 ათასი ლარია. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაშიც ჩანს რომ სახელშეკრულებო

ვალდებულებები მნიშვნელოვნად გაიზარდა 2017 წლის 1 იანვარი - 2017 წლის 31 დეკემბერი პერიოდში. ეს გამოწვეული იყო ორი მნიშვნელოვანი კლიენტისგან მიღებულ ავანსებთან, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 1,653 ათასი ლარი. ეს კონტრაქტი 2018 წლის განმავლობაში შესრულდა და ამან გამოიწვია სახელშეკრულებო ვალდებულების თანხის შემცირება.


შპს დემასის მიმდინარე ვალდებულებების შემადგენელი დანარჩენი ორი კომპონენტის მოცულობაც შემცირდა 2018 წლის განმავლობაში:

- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, რომლებიც ვალდებულებების 18 % ია, შემცირდა 56 % ით;
- სხვა საგადასახადო დავალიანებებს ვალდებულებების 36 % უკავიათ და 2018 წლის განმავლობაში 14 % ით შემცირდა;

სამივე კომპონენტის შემცირებამ კი კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია.

**სქემა 2.1.7**

**შპს დემასის აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის ცვლილება და ურთიერთდამოკიდებულება 2017 – 2018 წლებში**



გრაფიკიდანაც აშკარად ჩანს, თუ რა ტენდენციით ხასიათდებოდა შპს დემასის მაჩვენებლები. აქტივები 2017 წლის 1 იანვრიდან ყოველწლიურად იზრდება. იგივე შეგვიძლია ვთქვათ საკუთარი კაპიტალის მოცულობაზე.

ხოლო, ვალდებულებებს რაც შეეხება, 2017 წლის ბოლოს მისი ზრდა ფიქსირდება, რაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მნიშვნელოვანი და დიდი მოცულობის ავანსების მიღებასთან იყო დაკავშირებული. 2018 წლის ბოლოს კი ვალდებულებები კვლავ შემცირებულია და უფრო მცირე მაჩვენებელსაც უტოლდება, ვიდრე ეს იყო 2017 წლის 1 იანვარს.

ეს სურათი დადებითი დასკვნის გამოტანის საშუალებასაც გვაძლევს, რადგან კომპანიისთვის აქტივების ასეთი მოცულობით ზრდა და ვალდებულებების შემცირება ნამდვილად პოზიტიური მოვლენაა. რას შეეხება კაპიტალს, მას კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების განხილვისას დეტალურად დავახასიათებთ.

## 2.2 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს დემასის მოგება ზარალის ანგარიშგება გვაწვდის ინფორმაციას მისი შემოსავლისა და ხარჯების ოდენობის, სტრუქტურის შესახებ. ის წარმოდგენას გვიქმნის საწარმოს საქმიანობის შედეგების შესახებ. ანგარიშგებაში ხარჯები მათი ფუნქციური დანიშნულების მიხედვითაა დაჯგუფებული.

### ცხრილი 2.2.1

შპს დემასის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ათასი ლარი)


ათას ლარში	2018 წელი	2017 წელი
ამონაგები	60,346	53,565
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(34,995)	(31,349)
მთლიანი მოგება	25,351	22,216
საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი	722	612
რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები	(5,459)	(4,553)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,449)	(2,638)
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებიდან	1,555	118
საოპერაციო მოგება	18,720	15,755
ფინანსური შემოსავალი	2,444	1,102
მოგება დაბეგვრამდე	21,164	16,857
მოგების გადასახადის ხარჯი	(211)	-
წლის მოგება	20,953	16,857
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	20,953	16,857

**ამონაგები** - შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის დროს. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით ( ანაზღაურება, რომელსაც კომპანია მოელის დაპირებული საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის გადაცემის სანაცვლოდ). ამონაგები არ მოიცავს ფასდათმობებას და დღგ-ს. კომპანიის გაყიდვების ძირითადი ნაწილის შემთხვევაში საქმე გვაქვს ან საავანსო გადახდასთან ან საქონლის გადაცემის მომენტში ანგარიშსწორებასთან. ანგარიშსწორების გადავადება ხდება მაქსიმუმ 12 თვით, შესაბამისად კომპანიას არ მოელის ისეთი ხელშეკრულების არსებობას, რომლის მიხედვითაც პერიოდი საქონლის მიწოდებიდან ანგარიშსწორებამდე აღემატება ერთ წელს. ამიტომ არ ხდება გარიგების ფასის კორექტირება დროში ფულის ღირებულების ცვლილების გათვალისწინებით.

როგორც მოგება-ზარალის ანგარიშგებაშია ნაჩვენები რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები 2018 წელს გაზრდილია 12.66% ით 2017 წელთან შედარებით.

**სქემა 2.2.1**

**შპს დემასის ამონაგებისა და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულების ცვალებადობა და ურთიერთდამოკიდებულება 2017-2018 წლებში**






საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი - საინვესტიციო ქონება არის კომპანიის საკუთრებაში არსებული ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გასაზრდელად. ის კომპანიის მიერ საოპერაციო საქმიანობაში არ გამოიყენება.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს დემასი ფლობს 4 კომერციულ ფართს, რომლებიც გაქირავებულია 1-დან 5 წლამდე საიჯარო პერიოდით. მიღებული შემოსავალმა 2017 წელს შეადგინა 612 ათასი ლარი, ხოლო 2018 წელს 722 ათასი ლარი. შესაბამისად საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი 17.97 პროცენტითაა გაზრდილი.

რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების სტრუქტურა გრაფიკზეა მოცემული. მონაცემების მიხედვით ხარჯების უდიდესი ნაწილი 49 % მომუშავეების ხელფასის ხარჯია. მეორე ადგილას კი ძირითადი საშუალებების ცვეთაა 13%. ხარჯების დანარჩენი ოდენობა გადანაწილებულია რეალიზაციის საკომისიოზე, სარეკლამო, მარკეტინგის და კომუნალურ ხარჯებზე, ბანკის საკომისიოზე და სხვა ხარჯებზე, რომლებიც რეალიზაციასთანაა დაკავშირებული.

სქემა 2.2.2


შპს დემასის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების სტრუქტურა



საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების შემადგენლობა მოცემულია შემდეგ გრაფიკზე. აქაც ძირითადი ნაწილი მომუშავეთა ანაზღაურებაზე მოდის 1,725 ათასი ლარი და ხარჯების 50 %. თითქმის ერთნაირი მოცულობითაა წარმოდგენილი ავანსების გაუფასურების, საინვესტიციო ქონების ცვეთის, წარმომადგენლობითი და სხვა ხარჯები. ყველაზე მცირე ოდენობა კი ტელესაკომუნიკაციო ხარჯებზე მოდის, 58 ათასი ლარი.

### სქემა 2.2.3

#### შპს დემასის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების სტრუქტურა



კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაყვანა სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსი გამოიყენება. ამ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების ლარში გადაყვანა შემდეგი გაცვლითი კურსების გამოყენებით მოხდა : 1\$ = 2.6766 ლ; 1€ = 3.0701 ლ. კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება ან ზარალი კი მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აისახება. ეს მაჩვენებელი 2018 წელს (1,555 ათასი ლარი) მნიშვნელოვნადაა გაზრდილი 2017 (118 ათასი ლარი) წელთან შედარებით.

2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიებს არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების სახით. ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ხარჯები და გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან: საქონლის ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, წარმომადგენლობითი ხარჯები, რომელიც აღებატება კანონმდებლობით განსაზღვრულ ოდენობას. შპს დემასის მოგების გადასახადის ხარჯი 2018 წელს 211 ათასი ლარი იყო.

საერთო ჯამში 2018 წელს კომპანიის მოგება გაზრდილია 4,096 ათასი ლარით, რაც 2017 წლის მაჩვენებლის 24.3 %-ია. საქმიანობის ასეთი შედეგი კი დადებითად შეიძლება შეფასდეს.

### 2.3 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალი, როგორც ვიცით, სპეციალური სახის ვალდებულებაა მფლობელთა წინაშე. ის ძირითად კავშირს ქმნის მფლობელსა და ბიზნესს შორის. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება კი გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალი გაიზარდა თუ შემცირდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ეს ცვლილება შესაძლოა გამოწვეული იყოს საწარმოს საქმიანობის შედეგებით ანდა ინვესტორთა ქმედებით.

#### ცხრილი 2.3.1

შპს დემასის საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (ათასი ლარი)

ათას ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2	62,746	62,748
2017 წლის მოგება		16,857	16,857
2017 წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ 2017 წლის სრული შემოსავალი		16,857	16,857
გამოცხადებული დივიდენდები		(1,063)	(1,063)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2	78,540	78,542
2018 წლის მოგება		20,953	20,953
2018 წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ 2018 წლის სრული შემოსავალი		20,953	20,953
გამოცხადებული დივიდენდები		(7,365)	(7,365)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2	92,128	92,130


შპს დემასის წესდების საწესდებო კაპიტალი განსაზღვრული იყო 2 ათასი ლარით. ეს თანხა სრულად იყო შეტანილი ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის (2017 წლის 1 იანვარი).

2018 წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდების ოდენობა 7,365 ათასი ლარი იყო. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულებები და ხდება მათი გამოქვითვა გაუნაწილებელი მოგებიდან იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტს იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემისას ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (წმინდა დივიდენდები, რომლებიც მოიცავს 5%-ია საშემოსავლო გადასახადს, იყოფა 0,85-ზე). 2017 წლის 1 იანვრიდან რეზიდენტ იურიდიულ პირზე თუ ხდება დივიდენდის გაცემა, მოგების გადასახადისგან თავისუფალია. მოგების გადასახადი, რომელიც წარმოქმნილია დივიდენდის გაცემით, აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, როდესაც მოხდა დივიდენდების გამოცხადება. დივიდენდების გადახდის რეალური თარიღი კი შესაძლოა სრულიად განსხვავებული იყოს.

ახლა კი განვიხილოთ 2017, 2018 წლებში გამოცხადებული დივიდენდების ურთიერთდამოკიდებულება.


სქემა 2.3.1

შპს დემასის გამოცხადებული დივიდენდების ცვალებადობა 2017-2018 წლებში



2018 წელს მნიშვნელოვნადაა გაზრდილი გამოცხადებული დივიდენდების ოდენობა. ეს ზრდა კი შეადგენს 6,302 ათას ლარს - დაახლოებით 6-ჯერ არის გაზრდილი ეს მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით. საერთო ჯამში, საკუთარი კაპიტალის ოდენობა 2018 წელს 13,588 ათასი ლარითაა გაზრდილი, რაც 2017 წლის ანალოგიური მაჩვენებლის 17 %-ს შეადგენს.

სქემა 2.3.2 შპს დემასის საკუთარი კაპიტალის ცვლილება



## 2.4 ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ნებისმიერი საწარმოსთვის, საქმიანობის სფეროს მიუხედავად, ფული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი აქტივია. ფული და მისი ექვივალენტები გამოიყენება: აქტივების და მომსახურებების შესაძენად, სხვადასხვა კრედიტორული ვალდებულების დასაფარად, ინვესტიციების განსახორციელებლად, ხელფასების გასაცემად და ა.შ. ასევე, ფულადი სახსრების მოძრაობის აღრიცხვას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას. სწორედ ფულადი ნაკადების სწორი მართვა განაპირობებს საწარმოს მიერ მთავარი მიზნის, მოგების ოდენობას. ამ ყველაფრისთვის აუცილებელია ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენა და შესაბამისი მონაცემების გაანალიზება.

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს მიერ მიღებული მოგება და ფულადი სახსრების ოდენობა ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. შესაძლოა, საწარმომ მოგებით დაასრულოს პერიოდი და რეალურად მას ფული საერთოდ არ ჰქონდეს ბალანსზე. შესაბამისად მნიშვნელოვანია ფულადი ნაკადებისა და მოგების ანალიზი, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ურთიერთკავშირში.

### ცხრილი 2.4.1

შპს დემასი-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წელი (ათასი ლარი)

ათას ლარში	2018	2017
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>21,164</b>	<b>16,857</b>
კორექტირებები:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	735	664
საინვესტიციო ქონების ცვეთა	333	333
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	35	38
საპროცენტო შემოსავალი ვადიან დეპოზიტებზე	(2,444)	(1,102)
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებიდან	(1,554)	(118)
გადახდილი ავანსების გაუფასურება	401	-

სხვა არაფულადი საოპერაციო დანახარჯები	58	255
<b>საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე</b>	<b>18,728</b>	<b>16,927</b>
სავაჭრო მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(18)	95
მარაგების შემცირება/(ზრდა)	2,009	(2,358)
გადახდილი ავანსების ზრდა	(88)	(202)
სავაჭრო და სხვა დავალიანებების (შემცირება)/ზრდა	(434)	254
სახელშეკრულებო ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა	(1212)	1219
წმინდა საგადასახადო დავალიანებების (შემცირება)/ზრდა	(108)	139
<b>ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში</b>	<b>18,877</b>	<b>16,074</b>
გადახდილი მოგების გადასახადი	(211)	
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>18,666</b>	<b>16,074</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(7,325)	(999)
ვადიანი დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი	412	884
ვადიან დეპოზიტებზე თანხების განთავსება	(11,100)	(29,499)
ვადაგასული ვადიანი დეპოზიტებიდან თანხების გამოტანა	6,184	15,960
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>(11,829)</b>	<b>(13654)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		
კომპანიის მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	(7,365)	(1,063)
<b>საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>(7,365)</b>	<b>(1,063)</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(68)	(110)
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>3,923</b>	<b>2,676</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>3,327</b>	<b>3,923</b>


მოცემულია შპს დემასის ფულადი ნაკადების ანგარიშგება. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ფულადი ნაკადები საქმიანობის მიხედვით სამ ნაწილად დაჯგუფებული: საოპერაციო საქმიანობისგან, საინვესტიციო საქმიანობისგან და საფინანსო საქმიანობისგან. საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადების ანგარიშგება შესაძლოა მომზადდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით. შპს დემასი ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამზადებს არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით და მოგების კორექტირება ხდება არაფულადი მუხლებით.

საერთო ჯამში ფულადი ნაკადების ოდენობა 2018 წელს შემცირებულია 596 ათასი ლარით, დაახლოებით 15 % ით 2017 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით.

სქემა 2.4.1-ზე კარგად ჩანს როგორ შემცირდა ნაღდი ფულის ოდენობა 2018 წელს 154 ათასი ლარიდან 40 ათას ლარამდე. ასევე შემცირებულია ბანკში განთავსებული მოთხოვნამდე ანაზრების მოცულობაც, რაც საერთო ჯამში ფულადი სახსრების და ექვივალენტების მოცულობის შემცირებას უდევს საფუძვლად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებთან შედარებით.

სქემა 2.4.1

**შპს დემასის ფულადი ნაკადების სტრუქტურა და ცვალებადობა**





## დასკვნა

ამრიგად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის სწორად გადმოცემაზეა დამოკიდებული კომპანიის მდგომარეობის სწორი შეფასება მომხმარებელთა მიერ. ეს შეფასება განსაზღვრავს ინვესტორთა გადაწყვეტილებებს მომავალში ინვესტიციების ჩადების შესახებ ან ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის სტრატეგიის გადასინჯვის აუცილებლობის განხილვას. ამიტომ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საწარმოს წარმატება გარკვეულწილად ფინანსურ ანგარიშგების სრულყოფილ მომზადება-წარდგენაზეა დამოკიდებული.

ბალანსის ბალანსის მონაცემებიდან ჩანს, რომ აქტივები ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე - ზრდა 45 % იანი იყო. ხოლო მხოლოდ 2018 წლის განმავლობაში მათი ღირებულება 14 % ით გაიზარდა 2017 წელთან შედარებით. ასეთი ზრდა ძირითადად ძირითადი საშუალებებისა და ვადიანი დეპოზიტების ზრდის ხარჯზე მოხდა. კომპანიას გრძელვადიანი ვალდებულებები არ აქვს და ბალანსშიც მხოლოდ მიმდინარე ვალდებულებები უფიქსირდება, რომელთა ოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება 2018 წელს და თითქმის ნახევრდება. ეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებასთანაა დაკავშირებული. რადგან ამ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა ერთ წელს აღემატებოდა, ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა მათი მიკუთვნება გრძელვადიან ვალდებულებებზე. ასევე, აღსანიშნავია მიმდინარე ვალდებულებებისა და აქტივების ურთიერთდამოკიდებულება: მიმდინარე აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს და ამით კომპანიის ლიკვიდურობას დადებითად ახასიათებს. 2018 წელს გაიზარდა კაპიტალის ოდენობაც დაახლოებით 17% ით. კომპანიის აქტივების უდიდესი ნაწილის დაფინანსების წყარო საკუთარი კაპიტალია და არა ვალდებულებები. ასევე, შესაძლოა ამ მონაცემებზე დაყრდნობით ვიმსჯელოთ კომპანიის სტაბილურობის მაღალ მაჩვენებელზე და საკუთარი საბრუნავი სახსრების საკმაოდ დიდ ოდენობაზე.

საბოლოო ჯამში, ბალანსში მოცემული ინფორმაცია, მისი აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებაზე დაკვირვება საშუალებას

გვადლებს დადებითად შევაფასოთ კომპანიის მდგომარეობა, გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა. თუმცა, აუცილებელია დასკვნის გამოტანისას ფინანსური ანგარიშგების სხვა კომპონენტების განხილვა და მათი მაჩვენებლების გათვალისწინება.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ჩანს, რომ 2018 წლის განმავლობაში გაიზარდა შპს დემასის შემოსავალიც და ხარჯებიც. თუმცა, ამონაგების, საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავლისა და ფინანსური შემოსავლის ზრდამ გადაუსწრო ხარჯების ოდენობის ზრდას და შედეგად მივიღეთ 2018 წლის სრული შემოსავალი 20,953 ათასი ლარის ოდენობით. ის 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 24 %-ით აღემატება.

ხარჯების შემადგენლობის ძირითადი ნაწილი თანამშრომელთა ანაზღაურებაზე მოდის. ხარჯების კატეგორიაში გასამრჯელოების ასეთი წილი მომუშავეებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებად შეგვიძლია აღვიქვათ. თუმცა, ამ საკითხზე მათი რაოდენობის და ანაზღაურების გადანაწილების ცოდნის გარეშე ვერ ვიმსჯელებთ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ კომპანიას უფრო მეტად შეეძლო მარკეტინგული ხარჯების გაწევა, რაც ბევრად მეტ შემოსავალს მოუტანდა. მას აქტივების ოდენობა, ვალდებულებების სიმცირე და ფინანსური სტაბილურობა აძლევდა საშუალებას უფრო მეტი ხარჯი გაეწია ინოვაციების, მარკეტინგული ღონისძიებების, თანამშრომელთა წახალისების კუთხით. რეკლამის ხარჯების გაზრდა გამოიწვევდა გაყიდვების გაზრდას, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახებოდა ფინანსურ შედეგზე

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება გაუნაწილებელი მოგების ოდენობაზე გვაწვდის ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ გამოცხადებული დივიდენდების ოდენობა თითქმის 7-ჯერაა გაზრდილი 2018 წელს.

შპს დემასის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაშიც საქმიანობის მიხედვით დეტალურადაა მოცემული საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობის ფულადი ნაკადები. საინვესტიციო ნაწილი არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებითაა მომზადებული. რაც იმას ნიშნავს, რომ ხდება მოგების კორექტირება არაფულადი მუხლებით: ცვეთით, ამორტიზაციით და ა.შ. საერთო ჯამში ფულადი სახსრები 15 % ითაა შემცირებული 2017 წელთან შედარებით. ანგარიშგების სხვა კომპონენტებთან ერთად განხილვისას მხოლოდ დადებითი დასკვნა შესაძლოა გაკეთდეს, რადგან

აქტივების დიდი ოდენობით ზრდა გვაქვს 2018 წელს და ლოგიკურია ფულადი ნაკადების შემცირება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. „საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. 2019 წელი.
2. ბასს 1 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“, 2018 წელი.
3. ბასს - 7, „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“, 2018 წელი.
4. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, 2018 წელი.
5. ფასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ , 2018 წელი.
6. მ. მაისურაძე. ფინანსური აღრიცხვა. 2019 წელი.
7. ჭილაძე, ი. ფინანსური ანალიზი. თბილისი. 2018.
8. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. თბილისი, 2017 წელი.
9. საბაური ლ. კვატაშიძე ნ.,შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში. თბილისი ,2020
- 10.ა.ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ. სრესელი, ზ. გოგრიჭიანი. ბუღალტრული აღრიცხვა. თბილისი,2017.
- 11.ეფიმოვა ო.ვ., მელნიკი მ.ვ. – ფინანსური ანგარიშგების ანალიზი. მ. 2008.
- 12.ნეჩიტაილო ა.ი., ნეჩიტაილო ი.ა. – კომპლექსური ეკონომიკური ანალიზი. დონის როსტოვი, 2014.
- 13.სრესელი, ნ., ჯიქია, მ. ფულადი ნაკადების ანალიზის მეთოდები და მათი თავისებურებები. თბილისი.
- 14.ჭილაძე ი. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, სტ. ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“, 2018.
- 15.ხარაბაძე, ე. ფინანსური აღრიცხვა ( მე-2 დონე). თბილისი. 2018.

16. ჯიქია მ., ფინანსური ანალიზი. თბილისი. 2018.
17. <https://corporatefinanceinstitute.com/resources/knowledge/finance/cash-flow/>
18. <https://corporatefinanceinstitute.com/resources/knowledge/accounting/three-financial-statements/>
19. <https://bench.co/blog/accounting/financial-statements/>
20. <https://www.accountingtools.com/articles/2017/5/11/income-statement>
21. <https://www.wallstreetmojo.com/importance-of-financial-statements/>
22. <https://www.yourarticlelibrary.com/accounting/financial-statements/financial-statements-features-importance-and-limitations/61727>